

კორნელი
ქავერიძე

ბიობიბლიოგრაფია



(ენციკლოპედია) 1979

Корнелий
Кекелидзе

(1879 – 1962)

Биобиблиография



Издательство «Мецниереба»
Тбилиси
1979

კორნელი
ქაველიძე
(1879 – 1962)
ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი
1979

გამოჩენილი ქართველი ფილოლოგის, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შეცნიერული კვლევის ფუძემდებლის კორნელი კეკელიძის ბიობიბლიოგრაფია შოთავა 1904—1974 წლების ლიტერატურას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზიებს და გამოხმაურებებს ამ შრომებზე, ლიტერატურას კორნელი კეკელიძის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად. გამოყოფილია საიუბილეო თარიღები, გარდაცვალება და დაკრძალვა, რომლებიც ანდანურად არის გაწყობილი. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის პ. ქეკელიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიკულე მიმხილვა. ერთვის ძირითადი შრომებისა და სახელთა (ანდანური) სამიებული.

Биобиблиография выдающегося грузинского филолога, основоположника научного исследования истории древнегрузинской литературы Корнелия Самсоновича Кекелидзе содержит литературу 1904—1974 гг. Научные труды, рецензии на них, труды изданные под редакцией К. Кекелидзе и литература о нем.

Материал расположен хронологически. Отдельно выделены юбилейные даты, смерть и похороны, которые расставлены в алфавитном порядке. Биобиблиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности К. С. Кекелидзе. Прилагаются указатели: трудов и именной (алфавитный).

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: შ. ძიდიშვილი (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, თ. დავითაძე, მ. დარიალიშვილი, ვ. კუბრაძე, ვ. მახალიშვილი, ვ. თკუჯავა. ა. ფრანგიშვილი, გ. ვიკოშვილი, ს. ხადური (მდგვანი).

შემდგენლები: ს. უბანევაშვილი, ვ. დოლიძე

რედაქტორები: გ. მიქაელი, ს. ხადური

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. В. Дзидзигури (глав. ред.), Л. К. Габуния, Ф. Ф. Давитая, М. К. Дараселия, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдiani, В. М. Окуджава, А. С. Прангишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадури (секретарь)

Составители: С. И. Кубанешвили, Э. Г. Долидзе

Редакторы: Г. В. Микадзе, С. А. Хадури

Библиографическая редакция Т. Е. Накашидзе

61005



5. 515mrg

აკადემიკოსი პოლნელი სამსონის ეგ კეკელიძე

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობისა და პიროვნების დასახასიათებლად საჭიროა გავიხსენოთ მისი დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე წარმოთქმული სამადლობელი სიტყვა. მასში კ. კეკელიძემ სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

„ა. ისტორიული ჰეშმარიტების გამოვლინება უნდა ემყარერებოდეს არა უნიადაგო ჰიპოთეზებსა და მოსაზრებებს, არამედ მყარ და შემოწმებულ ისტორიულ ფაქტებს. ბ. ნამდვილი ისტორია არ საჭიროებს შეკეთება-შელამაზებას, რა მოსაზრებითაც არ უნდა იყოს ეს გამოწვეული (უფრო ხშირად ეს ხდება ყალბად გაგებული «პატრიოტიზმის» ქურქში). გ. მეცნიერულ მუშაობაში საჭიროა კრიტიკა, მაგრამ კრიტიკად არ უნდა საღვებოდეს ინსინუაციები და ლანდღვა-გინება. დ. საჭიროა პოლემიკა, მაგრამ არა ისეთ ადამიანთან, რომელიც შეუპყრია წინასწარაკვიატებულ აზრს და არა ჰეშმარიტების მოპოვების სურვილს. ე. მზად უნდა იყო შეცდომის გამოსწორებისათვის; ის ადამიანი, რომელსაც ეშინია ან რცხვენია თავისი შეცდომების გამოსწორებისა და ამიტომ «უცილობლობებს ვითა ჯორი», მეცნიერად არ შეიძლება ჩაითვალოს“.

ამ სიტყვებში მუღლავნდება მოღვაწე მეცნიერის უპირველესი მოვალეობა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება, დაუცხრომელი სწრაფვა ობიექტური სინამდვილის ამოსაცნობად და მტკიცე ნებისყოფა საკუთარი აზრის განქეშმარიტებისათვის.

კ. კეკელიძემ თავისი ღრმა ერუდიციით, ფილოლოგიური დარგების საფუძვლიანი ცოდნით, ობიექტური კონცეფციური აზროვნებითა და მშობლიური ქვეყნის მგზნებარე სიყვარულით შექმნა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელშიც აისახა თხუთ-

მეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორია, ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრება, ძლიერი შემოქმედებითი პოტენცია, სახელოვან გამოშეტყველთა ნაზრევი და ჩვენი დედაენის დიადი წარსული.

კ. კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 18 აპრილს სოფ. მიქელეფონში (ტობანიერის საბჭო, ვანის რაიონი), ხელმოკლე გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში. 1893—1900 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1900 წლის შემოდგომიდან „სახელმწიფო ხარჯით“ ჩაირიცხა. მსმენელად კიევის სასულიერო აკადემიაში სიტყვიერების ფაქულტეტზე. აქ დაეუფლა ისტორიულ-ფილოლოგიურ დარგებს და ხელი მოჰკიდა. ქართული ლიტერატურის შესწავლას.

1902 წელს კ. კეკელიძემ გაიცნო ნ. მარის ნაშრომი „წინასწარი ანგარიში სინას მთაზე მუშაობის შესახებ“, რამაც ჭაბუქზე დიდი გავლენა მოახდინა; მაშინ საბოლოოდ გადაწყვიტა, სპეციალობა მიეღო ძველი ქართული მწერლობის განხრით. ეს გადაწყვეტილება მას მოუწონეს პროფესორებმა ნ. პეტროვმა და ა. ღმიტრიევსკიმ. მეტიც: ა. ღმიტრიევსკიმ კ. კეკელიძეს წინადადება მისცა სადიპლომო თემა აეღო სწორედ ძველი ქართული მწერლობიდან. პროფესორის ეს წინადადება მიიღო და შეუდგა ქართული, ხელნაწერების შესწავლას.

1904 წელს კ. კეკელიძემ კიევის სასულიერო აკადემიას წარუდგინა ნაშრომი — „ქართული ლიტერატურიული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (დაწერილი იყო რუსულად). რეცენზენტებმა ა. ღმიტრიევსკიმ და ა. გლაგოლევმა, მაღალი შეფასება მისცეს.

კ. კეკელიძემ კიევის სასულიერო აკადემია წარმატებით დაამთავრა. 1905 წლიდან შეუდგა მასწავლებლობას ქუთაისში, ქალთა საეპარქიო სასწავლებელში; 1906 წლის დასაწყისში გადმოვიდა თბილისში საეპარქიო სასწავლებლის პედაგოგიური ნაწილის გამგედ. 1908 წელს დაიცვა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი; სულ მალე ა. ღმიტრიევსკის პეტერბურგში გადასვლასთან დაკავშირებით მისი კათედრა კ. კეკელიძეს შესთავაზეს, მაგრამ კიევის სასულიერო აკადემიას მან ამჯობინა თბილისში მასწავლებლობა. 1913 წელს მიიწვიეს ლექტორად ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხოლო 1916 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად.

1918 წლიდან კ. კეკელიძის ცხოვრებაში იწყება ახალი პერიო-

და. მეცნიერი მხარში ამოუდგა ი. ჯავახიშვილს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში და დაიწყო მოღვაწეობა ამ ახალ უმაღლეს სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებაში.

კ. კეკელიძე იყო თბილისის უნივერსიტეტის ძეველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე, სხვადასხვა დროს მუშაობდა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პრორექტორად, განვებდა უნივერსიტეტთან არსებულ სიძველეთსაცავს; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და ასრულებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას.

1941 წელს კ. კეკელიძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

მისი ინიციატივით აკადემიაში დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც მუშაობდა 1942—1949 წლებში, შემდეგ კი განაგებდა ამავე ინსტიტუტის ძეველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას.

1954 წლის 25 მაისს კ. კეკელიძეს გადაუხადეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის, ხოლო 1959 წელს — დაბადებიდან 80 და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლის-თავის იუბილეები.

კ. კეკელიძე გარდაიცვალა 83 წლის ასაკში 1962 წლის 7 ივნისს: დაკრძალულია თბილისის უნივერსიტეტის ბაღში.

კ. კეკელიძემ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაიწყო ჯერ კადევ კიევის აკადემიაში სწავლის დროს. მისმა სადიპლომო შრომაშ „ქართული ლიტერატურის ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში“ ისეთი დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ 1908 წელს, შევსება-გადამუშავების შემდეგ, ავტორს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი მოაპოვებინა.

კ. კეკელიძის პირველი წერილები დაიბეჭდა 1905 წელს, ერთი—ურნ. «მწყემსში» (№13-14) «ახალნი საგალობელნი აბო ტფილე-ლისა», მეორე—კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში «К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви». (№1). ამის შემდევ კ. კეკელიძე სისტემატურად წერდა და აქვთ-

ნებდა წერილებს, ნარკვევებსა და გამოკვლევებს ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში, აგრეთვე მონოგრაფიებს — წიგნებად.

პირველი წიგნი, რომელმაც გაუთქვა სახელი სამეცნიერო წრეებში, იყო სამაგისტრო ნაშრომი — «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение». ამ შრომის მნიშვნელობა თავიდანვე სწორად განსაზღვრა ა. ღმიტრიევსკიმ ჯერ კიდევ 1908 წელს, როდესაც კ. კეკელიძე კიევის სასულიერო აკადემიაში მაგისტრის დისერტაციას იცავდა; ა. ღმიტრიევსკი ამბობდა: «თავმოყრილი მასალის სიუხვითა და მეცნიერულ მონაცემთა სიახლით ეს იქნება ლიტურგიული მეცნიერების ძვირფასი განძი და იგი გახდება ლიტურგისტთა სამაგილო წიგნად». ეს მონუმენტური წიგნი მკითხველებს დღესაც აწვდის უხვისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ მასალასა და საგულისხმო ფილოლოგიურ დაკვირვებებს ქართული ლიტურგიული ძეგლების ხელნაწერებისა და, მათი მეცნიერული ღირებულების შესახებ.

მეორე დიდი შრომა, რომელმაც კვლავ სახელი გაუთქვა ქართველ მეცნიერს, არის „იერუსალიმის განჩინება“ (1912 წ.). იგი შეიცავს ძველ ქართულ ტექსტსა და გამოკვლევას. „განჩინება“ ქართული ლიტურგიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანია, და ასევე ითვლება ერთ-ერთ უნიკალურ წყაროდ ძველი პალესტინის სამონასტრო ყოფის შესასწავლად. ამიტომაც მისმა პუბლიკაციამ მკვლევართა ყურადღება უმაღვე მიიპყრო. მაღალი შეფასება მისცა მას კვლავ ა. ღმიტრიევსკიმ. რეცენზიები დაწერეს ი. კარაბინოვმა, პ. პეტრერსმა და ნ. მარმა. მაგ., ნ. მარმა ონიშნა, რომ კ. კეკელიძის წიგნი თავისი მეცნიერული ღირებულებით სერიოზულად მოფიქრებული შრომაა, რომელიც შეიცავს განუენებულ თემას და ახალ აღმოჩენილ უმნიშვნელოვანეს ტექსტს. საგულისხმოა, რომ როდესაც თ. უორდანიამ „განჩინება“ გაიცნო, მან კ. კეკელიძეს გაუგზავნა აღფრთოვანებული წერილი: „მე გავიცანი შენი ახალი შრომა და მახარებს და მაცოცხლებს ის, რომ ჩვენს მწერლობას ბუმბერაზი მაძიებელი გამოუჩნდა“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „განჩინების“ პუბლიკატორმა ნ. მარის წარდგინებით მ. ახმატოვის სახელობის პრემია მოიპოვა.

შემდეგი დიდი წარმატება წილად პხვდა კ. კეკელიძეს მაშინ, როდესაც 1912 წელს «Христианский Восток»-ში დაიბეჭდა გამოკვლევა ტექსტითურთ «იოვანე ქსიფილინოსი — სვიმეონ მეტაფრასტის გამგრძელებელი», რომელიც წარმოადგენს ერთგვარ შევსებას მისი ნარკვევისას — «სვიმეონ მეტაფრასტი ქართული წყაროების მიხედ-

ვით» (1910 წ.). ორივე ნარკვევში განხილულია ბიზანტიური მეტაფრასტიკის მთავარი წარმომადგენლების სვიმეონ ლოლოთეტისა და ითანე ქსიფილინოსის ლიტერატურული საქმიანობა. ქართული წყაროებით ცხადი გახდა, რომ სექტემბერ-იანვრის თვეთა წმიდათა საკითხავები გადაუმეტაფრასებია სვიმეონ ლოლოთეტს, ხოლო თებერვალ-აგვისტოს თვეთა საკითხავები — ითანე ქსიფილინოს. მსოფლიო ბიზანტისტიკაში ცნობილი იყო, რომ პირველი ხუთი თვის მეტაფრასები ეკუთვნოდა სვიმეონს, მაგრამ ბერძნულში არ ჩანდა, თუ სვიმეონის გამგრძელებელი ვინ იყო და რა შრომები ეკუთვნოდა მას. კ. კეკელიძემ ქართულ ხელნაწერებში აღმოაჩინა ორი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ანდერძი — «მოსაქსენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოლოთეტისა და თხრობად მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა» და «შვიდთა თვეთა საკითხავთა განმავრცელებლისა ბრძნისა ფილოსოფოსისა ქსიფილინოსისათვის», რომელთა მიხედვით დოკუმენტურად დადგინდა, რომ ქართულ წყაროებს დაუცავთ სვიმეონის გამგრძელებლის ვინაობა, რომ ეს ავტორი არის ითანე ქსიფილინოსი, ბიზანტიელი ფილოსოფოსი და მწერალი, რომელსაც გარდაუკაზმავს თებერვალ-აგვისტოს საკითხავები. კ. კეკელიძემ ცხადყო, რომ «ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად დაცულია თითქმის მთლიანად. ასე რომ, შესაძლებელი ხდება შუა საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება».

კ. კეკელიძის აღმოჩენამ ბიზანტინისტთა შორის დიდი სენსაცია გამოიწვია. ვ. ლატიშევმა მეორე ქართულ „ანდერძს“ უწოდა „უალრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტი“; აღნიშნა ისიც, რომ კ. კეკელიძეს სრული უფლება ჰქონდა ეს დოკუმენტი მიეჩნია ერთგვარ „გამოცხადებად“. რადგანაც ბიზანტიურმა მწერლობამ ითანე ქსიფილინოსის შესახებ სრულიად არაფერი არ უცოდა.

ამის შემდეგ კ. კეკელიძემ მოიპოვა დიდი სარბიელი მსოფლიო ბიზანტინისტიკის არენაზეც. მისი ნაშრომი დასავლეთ ევროპის სპეციალისტთა ყურადღების საგნად იქცა. ახლა უკვე ქართველ მეცნიერს სამკალი დიდი ჰქონდა და შეეძლო მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო ის ჰაგიოგრაფიული ტექსტები, რომლებიც მოიპოვებოდა ქართულ ენაზე და მათი არსებობა კი ევროპელმა მეცნიერებმა არ იცოდნენ; და აი, ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგად კ. კეკელიძემ 1918 წელს თბილისში დაბეჭდა «ქართული

ჰაგიოგრაფიული ძეგლების» სერიაში «კიმენის» პირველი ტომი, რო-
ჰელიც შეიცავს გამოკვლევას და 21 ჰაგიოგრაფიულ ტექსტს. იგი შე-
ავალში წერს: «ჩვენი ძეგლი მწერლობის შესწავლა-გამომზეურება
ერთობ ჩამორჩენილია. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჰაგიოგრა-
ფიული მწერლობის შესახებ. ამ დარგში არავითარი სისტემატური
მუშაობა არ წარმოებს. ერთის მხრით ამ გარემოებამ, მეორის მხრით
ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის სიმღიდრემ და უაღრესმა
სამეცნიერო მნიშვნელობამ გვაიძულა ჩვენ 1915 წ. მოხსენებით
მიგვემართნა ჰეტროგრადის სამეცნიერო აკადემიისათვის, რომ მას ეკის-
რა გამოცემა ამ ძვირფასი სამეცნიერო ნაშთებისა. თანახმად ამ
მოხსენებისა და იგადემიკოსის ნ. მარის დასკვნისა, სამეცნიერო
აკადემიამ გადაწყვიტა ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამო-
საცემად შეექმნა საგანგებო სერია, რომლის რედაქტორობა ჩვენ
დაგვაკისრა. ეს სერია, რომელსაც სახელად *Monumenta hagiographica Georgica* ჰქვიან, სამ ნაწილადაა განხრახული: პირველ ნაწილში
შევა ეგრეთწოდებული «კიმენი», ე. ი. პირველ ლიტონად აღწერილი
მსოფლიო წმიდათა ცხორებანი; მეორე ნაწილში — ამავე წმიდათა
გარდაქმნილ-გადაკეთებულნი, ლიტერატურულად შესწორებულ-გამ-
შვენიერებულნი ცხორებანი, რომელთაც «მეტაფრასი» ეწოდება; მე-
სამე ნაწილში — ქართველ წმიდათა ცხორებანი, რომელთა გამოცემა
აუცილებელი საჭიროებას შეადგენს, თუ მხედველობაში იმ გარემოე-
ბას ვიქონიებთ, რომ ერთადერთი გამოცემა მ. საბინინისა «საქართ-
ველოს სამოთხე» გასაყიდად არ იშოვება და თან პრიმიტიულ სამეც-
ნიერო მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს».

კ. კეკელიძის გამოცემას უძლვის გამოკვლევა, რომელშიც მო-
ცემულია ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ისტორია, განხი-
ლულია ქართველ მთარგმნელთა ვინაობა და სვინაქსარული თუ
აპოფთეგმატური ხასიათის კრებულები (სწავლანი მამათანი, ლავსაი-
კონი, ფილოთეონ ისტორია, დიალოლონი და ლიმონარი), ხოლო
შემდეგ წარმოდგენილია „მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული და
ჰაგიოლოგიური ანალიზი“ ამ ტექსტებისა, რომლებიც გამოქვეყნე-
ბულია პირველ ტომში.

„კიმენის“ მეორე ტომი კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა 1946 წელს
(ე. ი. პირველის გამოსვლიდან 28 წლის შემდეგ). ეს ტომი აგებუ-
ლია სხვაგვარად: თუ პირველში ჯერ ნარკვევია, მერმე — ტექს-
ტები, მეორეში თითოეულ ტექსტს უძლვის ნარკვევიცა და სათა-
ნადო აპარატიც. აქ დაბეჭდილია 14 ჰაგიოგრაფიული ძეგლი; ყვე-

ლა მათგანი შესწავლილია ქართულ ხელნაწერებთან და ბერძნულ დედნებთან მიმართებით. წამტღვარებულ ნარკვევებში განხილულია ისტორიულ-ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური საკითხები.

ამრიგად, „კიმენის“ ორივე ტომში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა 35 ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლი. მისი აზრით, ეს იყო ზღვაში წვეთი. მკითხველებს რომ გაეთვალისწინებინათ ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მოცულობა და ხასიათი, მან შეადგინა და დაბეჭდა კიდეც უაღრესად საჭირო ბიბლიოგრაფიული შრომა — „ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია“, რომელშიც აღრიცხა კიმენური და მეტაფრასული ძეგლები V-დან XI საუკუნეებდე. მასში მითითებულია თხზულებათა ავტორები, სათაურები, დასაწყისში ფრაზები, უცხოური გამოცემები და ის ქართული ხელნაწერები, რომელთაც დაუცავთ ესა თუ ის თარგმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლი. აღნიშნული შრომებით კ. კეკელიძემ ჩაუყარა მტკიცე საფუძველი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის მეცნიერულად შესწავლის საქმეს.

კ. კეკელიძემ ღიღი წვლილი შეიტანა ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის შესწავლის საქმეშიც. მან არა მარტო კრიტიკულად გაანალიზა V-IX საუკუნეების ქართული «წამებანი» და «ცხოვრებანი», არამედ ზოგი მათგანის ტექსტი მეცნიერულად გამოსცა და რუსულადაც თარგმნა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ორი წიგნი — «აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ნაკვეთი პირველი : I. ოთავე საბანისძე, II. ბასილ ზარზელი» (1935 წ.) და «Памятники древнегрузинской агиографической литературы» (1956 წ.). პირველი წიგნის წინასიტყვაში ლაკვნიურად აღნიშნულია ის ღიღი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, რომელიც მოეპოვება ხსენებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს: «აღრინდელი ქართული ორიგინალური ლიტერატურა, — წერს ავტორი წიგნის წინასიტყვაში, — რომელიც უმთავრესად ე. წ. ჰაგიოგრაფიული ძეგლებითა წარმოდგენილი, სერიოზული ყურადღების ღირსია. წმიდა ლიტერატურული ღირებულების გარდა საგანგებოდ ხაზგასმულია მისი ისტორიული მნიშვნელობაც: ჰაგიოგრაფიული ძეგლების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ისეთი მხარეები სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შორეულს, კარდასულ ეპოქაში, რომელთა შესახებ სხვა წყაროები ან სრულიად არ მოგვეპოვება, ანდა ძალიან ძუნწალ». ამიტომ შემთხვევითი არაა. რომ კ. კეკელიძის წიგნში გამოქვეყ-

ნებულია ითანე საბანისძის «აბო ტფილელის მარტვილობა» (VIII ს.) და ბასილ ზარზმელის «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება» (X ს.). ეს ძეგლები კ. კეკელიძის მიერ საფუძვლიანად განხილულია ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით; მეცნიერულად დასაბუთებულია ორივე ძეგლის კულტურული მნიშვნელობაც, რაც მოეპოვება მათ VIII-IX საუკუნეთა ქართველი ხალხისა და მეზობელი ქვეყნების ცხოვრების შესასწავლად. სახე ლდობრ, «აბო ტფილელის მარტვილობის» ტექსტთან დაკავშირებით შესწავლილია თხზულების აღრინდელი გამოცემები, ხელნაწერები, ქრონოლოგია პოლიტიკური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქართლისა, ავტორის ვინაობა და იდეოლოგია, დაწერის თარიღი, ლიტერატურული წყაროები, ძეგლის ფორმა (სტრუქტურა), ხოლო «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასთან» დაკავშირებით შემდეგი საკითხები: გამოცემა და ხელნაწერები, «ცხოვრების» ქრონოლოგია, აშოტ დიდი კურაპალატის გარდაცვალების თარიღი, ეფრემ დიდისა და გიორგი მაწყვერელის ეპოქა, «ცხოვრების» სოციოლოგია და მნიშვნელობა, ტექსტის დამახინჯებული ადგილები. თხზულებებს ერთვის ვარიანტები, ძნელოვანი და არქაული სიტყვების ლექსიკონი. ასე რომ, ამ წიგნში მოცემულია ითანე საბანისძისა და ბასილ ზარზმელის შრომათა მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ვრცელი გამოკვლევებითა და ფილოლოგიური აპარატით. რაც შეეხება მეორე წიგნს, რომელიც რუსულად გამოქვეყნდა, მასში დაბეჭდილია იაკობ ხუცესის, ითანე საბანისძისა და სერაპიონ ზარზმელის თხზულებათა რუსული თარგმანები სათანადო გამოკვლევებით. ამით კ. კეკელიძემ რუსულ ენაზე საზოგადოებას მიაწოდა ადრეფეოდალური ხანის სამი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები — «შუშანიკის წამება», «აბო ტფილელის წამება» და «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება», რომლებშიც გაშუქებულია V-IX საუკუნეების ქართლის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება, ოჯახური ყოფა, რელიგიური ბრძოლა მაზდებანურ და მუსულმანურ საჩიტონებათა წინააღმდეგ, ქართული ეკლესიის ორგანიზაცია, სამხრეთ საქართველოს სოციალური ყოფა, სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობა და დაბალი საზოგადოების აუტანელი გარემო.

ძველი ქართული მწერლობის მეორე დარგი, რომელიც დაამუშავა კ. კეკელიძემ, ეს არის ეგზეგეტიკა. 1920 წელს მეცნიერმა გამოაქვეყნა დიდი შრომა — „თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტისა“, რომელიც შეიცავს გამოკვლევასა და ძველ ქართულ ტექსტს. გამოკვლევაში მოცემულია ქარ-

თული ეგზეგეტიყის შოკლე ისტორია, განხილულია ამ დარგის თხზულებანი, რომელნიც კი ქართველებს უთარგმნიათ V—XI საუკუნეებში, მთარგმნელთა ვინაობა; მიტროფანე სმირნელის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, როლი ბიზანტიურ მწერლობაში და „თარგმანება ეკლესიასტისა“. ამ ძეგლის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „საქართველოს ეკლესიას, რომელსაც შეუნახავს უმღიდრესი ნაშთი საქრისტიანო მწერლობისა, ჯერ არ მიუპყრია მეცნიერთა ის ყურადღება, რაც მას სამართლიანად უნდა ჰქონდეს დამსახურებული... მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ზერელედ გაცნობამაც თვალსაჩინო განძი შეიტანა საეკლესიო მწერლობის ისტორიაში რამდენიმე ისეთ თხზულებათა აღმოჩენით, რომელთა დედანი დაკარგულად ითვლება. მით უფრო თამამად აღვნიშნავთ ამ ფაქტს, რომ დღეისდღეობით ჩვენ შეძლება გვეძლევა სიამოვნებით მოვიტანოთ ზოგად სამეცნიერო სამსხვერპლოზე ქართული სიძველეთსაცავიდანაც ერთი ახალი საეგზეგეტიკო თხზულება, ბერძნული ენიდან ნათარგმნი, რომლის შესახებ საეკლესიო მწერლობის ისტორიამ არა იცის რა. ჩვენ სახეზე გვაქვს «თარგმანება ეკლესიასტისა», აღწერილი მიტროფანეს მიერ, სმირნელ მიტროპოლიტისა“.

გამოკვლევაში ცალკე თავი ეთმობა ქართული თარგმანის რაობას. აქ კ. კეკელიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მიტროფანეს „თარგმანების“ მთარგმნელია ფილოსოფოსი იოანე ჭიმჭიმელი; შემდეგ იქვე განმარტავს ალეგორიული და ისტორიული შინაარსის გამომხატველ ტერმინებსა და ცნებებს, რომელთაც იყენებს მთარგმნელი ამა თუ იმ ბერძნული გამოთქმის შესატყვისად. საგულისხმოა გამოკვლევის ის თავიც, რომელშიც დახასიათებულია ეკლესიასტეს ქართული რედაქციები. ამ შრომით კ. კეკელიძემ საფუძველი დაუდო ქართული ეგზეგეტიკური მწერლობის შესწავლის საქმეს.

* * *

1920-იანი წლებიდან კ. კეკელიძე შეუდგა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნაზე მუშაობას. ამ დიდი საქმის წამოწყება აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ იგი თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას და, მაშასადამე, მოსწავლე იხალგაზრდობისათვის უნდა მიეწოდებინა სახელმძღვანელო, რომელიც დაწერილი იქნებოდა მეცნიერული

ლად იმ დროისათვის მოპოვებული ფაქტობრივი მასალების გათვალისწინებით. მაშინ ერთიანი კურსი, რომლითაც მკითხველს შეეძლო შესწავლა ქართული ლიტერატურა, იყო ა. ხახანაშვილის «Очерки по истории грузинской словесности» (ოთხ ტომად, 1895-1904) და მისი მოკლე რედაქცია — «ქართული სიტყვიერების ისტორია» (ორ ტომად 1904-1913), მაგრამ ეს წიგნები 20-იანი წლებისათვის უკვე მოძველებული იყო და თანაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლებოდა. კ. კეკელიძის წინაშე იდგა დიდი სიძნელე: არ არსებობდა ქართული ხელნაწერებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფიული შრომები, სასულიერო და საერო შინაარსის მრავალი ძეგლის ბეჭდური გამოცემა და მონოგრაფიები ძველი ქართული მწერლობის დარგების შესახებ. ამიტომაც კ. კეკელიძეს თვითონ მოუხდა ე. წ. «შავი სამუშაოების» შესრულება: შეადგინა ბიბლიოგრაფია «უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში», დაამუშავა ცალ-ცალკე ძველი ქართული მწერლობის დარგები — ბიბლიოლოგია, აპოკრიფული მწერლობა, კანონიკა, ჰომილეტიკა, ასკეტიკა-მისტიკა, დოგმატიკა, ჰიმნოგრაფიული პოეზია და სხვა, ხელნაწერებში გაიცნო მრავალი გამოუქვეყნებელი ძველქართული თხზულება და შეუდგა ტიტანური სამუშაოს შესრულებას — ქართული ლიტერატურის ისტორიის წერას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თუ ამგვარი საქმის წამოწყება შეუძლებელი იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში, რასაც გულისტკივილით იუწყებოდა ა. ცაგარელი, ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში იმიტომ, რომ ამ დროისათვის ძველი ქართული მწერლობისა და მისი დამხმარე დარგების შესწავლა უკვე მეცნიერულ დონეზე იდგა. კ. კეკელიძეს გვერდს უმშვენებდნენ ა. ცაგარელი, თ. უორდანია, ნ. მარი ე, თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, იუსტ. აბულაძე, ს. კაჯაბაძე, ს. გორგაძე და სხვანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძეს შეეძლო გამოცემისა თ. უორდანიას «ქრონიკები» (ორი ტომი), «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» (12 ტომი), რომელიც გამოსცა ნ. მარმა; ე. თაყაიშვილის «Описание рукописей» (I-II ტომები), ი. ჯავახიშვილის «ქართველი ერის ისტორია» (I-II ტომები) და «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა», რომელშიც მეცნიერულად მიმოხილულია V-XIII საუკუნეების ქართული მწერლობის თხზულებანი და მათი ავტორები.

1923 წელს გამოქვეყნდა «ქართული ლიტერატურის ისტორიის» პირველი ტომი, ხოლო 1924 წელს — მეორე ტომი. ეს ორტომეული მაშინვე სამაგიდო წიგნად იქცა უველასათვის, ვინც კი დაინტერესებულ

ლი იყო და ორის ძველი ქართული მწერლობის შესწავლით. დღეს ჩვენ მოგვეპოვება მისი ოთხი გამოცემა. კ. კეკელიძე ყველა გამოცემას ავსებდა ახალი სამეცნიერო ლიტერატურით და გზადაგზა ეხმაურებოდა სხვათა მოსაზრებებს. პირველი ტომის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა, რომ ეს ტომი გადამუშავებული სახით გადაითარგმნა ვერმანულ ენაზე და 1955 წელს რომში გამოქვეყნდა ასეთი სათაურით: «Geschichte der Kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze. Bearbeitet von M. Tarchnischewili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg».

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი მოიცავს V—XVIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის მიმოხილვას; შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან. შესავლის თავებია: 1. ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა და შესწავლის მდგომარეობა, 2. ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული ლიტერატურისა, 3. პერიოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და 4. სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში. პირველ ნაწილში მიმოხილულია საეკლესიო მწერლების ცხოვრება და შემოქმედება ქრონილოგიური თანმიმდევრობით V-დან XVIII საუკუნემდე ჩათვლით. მეორე ნაწილი ეთმობა ძველი ქართული მწერლობის დარგებს. ესენია ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, აგიოგრაფია (კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული), ასკეტიკა-მისტიკა, პომოლეტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, პოეზია (ლიტურგიული და სამოძღვრო-მოთხრობითი).

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი მიძღვნილია საერო-ფეოდალური მწერლობისადმი და თავისი სტრუქტურით არსებოთად განსხვავდება პირველი ტომისაგან. შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან. შესავალში განხილულია შემდეგი საკითხები: ქართული საერო მწერლობის ჩასახვის პირობები და მისი აღმოცენების მიზეზები, საერო მწერლობის დასაწყისი, საეკლესიო და საერო მწერლობის ურთიერთობა, შესწავლის ისტორია და პერიოდები. პირველ ნაწილში წარმოდგენილია XI—XIII საუკუნეების ლიტერატურა: I. ეპოსი, II. ლიტერატურული, III. საისტორიო მწერლობა და IV. ციტატები სხვადასხვა თხზულებებიდან. მეორე ნაწილი ეთმობა XIII—XIV საუკუნეების მწერლობას, ხოლო მესამე ნაწილში მიმოხილულია XV—XVIII საუკუნეების ლიტერატუ-

რული უანრები: I. საგმირო, რომანტიკული, საზღაპრო, დიდაქტიკურ-მორალური და საისტორიო ეპოსი, II. ლირიკა და III. დრამა. ავტორი ფართოდ აშუქებს თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ მეორის, გარსევან ჩოლოყაშვილის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის, საიათნოვასა და მთარგმნელ-შემდგენელთა ცხოვრებასა და შემოქმედებას.

პ. კეკელიძე ამ დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას განიხილავს პირველი წყაროების კრიტიკულად ათვისების საფუძველზე. ამდენად მისი ორტომეული სახელმძღვანელოს ფარგლებს სცილდება და ფართო მეცნიერული კვლევა-ძიებითი შრომის დანიშნულებას იძენს. ამას ხაზგასმით აღნიშნავს თვით ავტორი პირველი ტომის წინასიტყვაობაში: „ეს კურსი არის ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული კვლევა-ძიებითი ხასიათის ნაშრომი, რომელმაც, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაარკვიოს და დააზუსტოს ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხები და მოამზადოს სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად ბაზა და საიმედო მასალა, დააკმაყოფილოს მოთხოვნილებანი უმაღლესი და საშუალო სკოლის ლიტერატურის მასწავლებლებისა, ასპირანტებისა და მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებისა და საბჭოთა ინტელიგენციის დაინტერესებული წრეებისა. ასეთი ხასიათი და მიზანდასახულობა შრომისა უნდა ამართლებდეს მის ორ მხარეს: I. ამ კურსში ჩვენ ვჩერდებით ...მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებზე, ესე იგი ისეთ თხზულებებზე, რომლებშიაც თავს იჩენს მხატვრული გაფორმების საშუალებანი, მაგრამ ამასთან ერთად, ამა თუ იმ საზომით, ვეხებით «მწერლობის» ისეთ ძეგლებსაც, რომლებშიაც მხატვრული ელემენტი მოცემულია არა წამყვანი სახით, იგულისხმება პოლიტიკური, ფილოსოფიური, თეოლოგიური, იურიდიული და სხვა ძეგლები. ასე ვიქცევი იმისთვის, რათა წარმოდგენილი იქნეს ძეგლი ქართული მწერლობა მთელი თავისი მოცულობით. II. ეს ისტორია მთლიანად გვერდს ვერ აუვლის ვერც ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებს; არა საგანგებოდ, მაგრამ გზადაგზა ამა თუ იმ ეპოქისა და უანრის ლიტერატურის, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მიმოხილვისას, ისტორიკოსს ნათარგმნ ლიტერატურაზეც უხდება შეჩერება. განსაკუთრებით ეს ითქმის ძველი დროის საქრისტიანო მწერლობის შესახებ“.

ამრიგად, პ. კეკელიძემ „ქართული ლიტერატურის ისტორია-

ში” მეცნიერულად შეაჯამა, სისტემაში მოიყვანა და პერიოდების მიხედვით განიხილა ის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვეს V—XVIII საუკუნეების სასულიერო და საერო მწერლებმა, მეცნიერებმა, მთარგმნელ-რედაქტორებმა და, საერთოდ, კულტურის მოღვაწეებმა. ამჟამად განუზომელია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც წილად ჰქვდა დასახელებულ შრომას. მან აღზარდა და მომავალშიც დიდხანს აღზრდის ქართველ ლიტერატორთა მრავალ თაობას. მისი განსაკუთრებული ღირსება ისიც არის, რომ ავტორი ავლენს არა მარტო ძველი ქართული მწერლობის თავისთავადობასა და ეროვნულ ღირსებას, არამედ ცხადჰყოფს ამ მწერლობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობასაც.

* * *

ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნაზე მუშაობაში მკვლევარს დაუსახა ახალი მიზნები და ამოცანები, ახალი პრობლემები, რომელთა გადაჭრისათვის საჭირო იყო ზოგიერთი საკითხის ცალკე გამოყოფა და მონოგრაფიულად შესწავლა. ამ მიზნით მან დაამუშავა რამდენიმე დიდი პრობლემა და მათ შესახებ დაბეჭდა ნარკვევები: «ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა)» (1920 წ.), «ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები», «ორი ექვთიმე ძველს ქართულს მწერლობაში», «ვახტანგ გორგასალის ისტორიული და მისი ისტორია» (1923 წ.), «საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ», «ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები» (1926 წ.), «კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა» (1927 წ.), «ქართული კულტურის ორი დღესასწაული» (1929 წ.), «კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში» (1930 წ.), «ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია» (1933 წ.), «ნიკიფორე ირბახი» (1935 წ.), «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი როგორც ლიტერატურული წყარო», «ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან» (1938 წ.), «ძველი ქართული წელიწადი» (1941 წ.) «მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ მწერლობაში» (1951 წ.); «ბალაგარიანის რომანი ქართულ მწერლობაში» (1958 წ.) და მრავალი სხვა, რომელიც გაშუქებულია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობისა და ქართული ისტორიული ფილოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მარტო სათაურების წაკითხვაც კი საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რა აქტუალურ თემებზე მუშაობდა კ. კე-
2. კონკრეტული კულიტე

კელიძე. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი თემა:

1. ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა და განვითარება და 2. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ საქართველოში. მკვლევარმა პირველ თემას მიუძღვნა რამდენიმე გამოკვლევა, რომელიც დაბეჭდა წიგნში «ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან» (ტ. II, 1945). მას შესავლად წაუმდღვარა პატარა წერილი «ქართული საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემისათვის» კ. კეკელიძის მდებარებაში ფეხმოკიდებული იყო ე. წ. აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა გავლენის თეორია, რომელიც ნ. მარმაშემუშავა 1899 წელს («Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы»). ეს მეცნიერი ფიქრობდა, რომ ქართული საერო მწერლობა აღმოცენდა და გაიფურჩნა სპარსული სამიჯნურო და საგმირო-სათავგადასავლო თუ სახოტბო პოეზიის ბაზაზე, აღმოსავლური მხატვრული სახეებისა და თემატიკის სესხება-გადმოკეთების შედეგად. ამის საპირისპიროდ შემუშავდა მეორე თვალსაზრისიც დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზისა და ანტიკური ქართული ლიტერატურული ტრადიციების აღდგენა-განახლების შესახებ. კ. კეკელიძემ უარყო ეს მოსაზრებანი და ქართული საერო და სასულიერო მწერლობის ურთიერთშეჯრების საფუძველზე წამოაყენა მართებული შეხედულება, რომ ყველა მოტივი და მხატვრული ფორმა, რაც ახასიათებს ქართულ საერო მწერლობას, მეტნაკლებად მოეპოვება ქართულ აგიოგრაფიულ, აპოკრიფულ, საისტორიო და ფილოსოფიურ მწერლობას. ასე რომ, საერო თემატიკის შექმნისათვის საქართველოში უკვე არსებობდა კულტურული ნიადაგი, რაც მკვიდრ საფუძველს უმზადებდა ახალი შინაარსისა და ახალი ფორმის პოეზიასა და პროზას — «ვეფხისტყაოსნისებურ» და «ამირანდარეჯანიანისებურ» თხზულებებს. «მართალია, — დასძენს იქვე კ. კეკელიძე, — დასახელებული თხზულებები მუსულმანური, სპარსულ-არაბული ლიტერატურის ყაიდაზე დამუშავდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მათი მოტივები, ზოგჯერ ელემენტების, ზოგჯერ საკმაოდ გაშლილი სახით, გაცილებით ადრეა მოცუმული პაგიოგრაფიულ მწერლობაში, ვიდრე ისინი სპარსული ლიტერატურის საშუალებით გაიკაფავდნენ ჩვენში გზას. სასულიერო მწერლობისათვის, კონკრეტულად პაგიოგრაფიული ბელეტრისტიკისათვის, არა უცხო ის სიუჟეტები და მოტივები, რომელთაც კლასიკური პერიოდის საერო მწერლობაში ვხვდებით. თუ ერთი და იგივე არა, ყოველშემთხვევაში მსგავსი მხატვრული ფორმები და სახეები, მსგავსი სიუჟეტური მოტივები და სიტუაციები ნებას გვაძლევენ

ვთქვათ, რომ ჩვენ თავიდანვე საქმე გვაქვს მხატვრული შემოქმედების ერთ მთლიან განუწყვეტელ პროცესთან», იმ განსხვავებით, რომ სასულიერო მწერლობაში ღომინანტობს რელიგიური იუსტიციით, საეროში კი ზეციურ მიზანსწრაფვებს ენაცვლება ამქვეყნიური მისაწრაფებანი. ეს მოსაზრება კ. კეკელიძემ ბრწყინვალედ დაასაბუთა სასულიერო მწერლობიდან მოხმობილი უხვი ფაქტობრივი მასალით.

ასევე დიდი მეცნიერული ერუდიციითაა დამუშავებული მთარგმნელობითი მეთოდის პრობლემა. როგორც ცნობილია, ჩვენი ძველი მწერლობა მდიდარია თარგმნილი ძეგლებით. ქართველები თარგმნიდნენ ბერძნულიდან, ასურულიდან, სომხურიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, რუსულიდან და სხვა მოწინავე ხალხთა ენებიდან. აღსანიშნავია, რომ მრავალსაუკუნოვანი მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგად ჩვენში შემუშავდა მეთოდი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ძველ ქართულ მწერლობაში, და კ. კეკელიძემ სწორედ ამ მეთოდის თავისებურებანი დაადგინა. მისი ნარკევი „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში“... იმდენად საინტერესოა და მნიშვნელოვანი, რომ აქ მისგან დავიმოწმებთ ერთ ვრცელ ამონაწერს, რომელიც ამ შრომის კვინტესენციას წარმოადგენს. კ. კეკელიძე წერს:

„ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, და ეს იმიტომ, რომ იმაში ხელავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გადმოღება უცხო თხზულებებისა იყო არა მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში... ჩვენში თავიდანვე განმტკიცებული ყოფილა ტრადიცია „თავისუფალი თარგმანისა“. თეორია „შემატება-კლებისა“ მარტო ექვთიმე ათონელის თარგმანებში როდი იჩენდა თავს, ამა თუ იმ საზომით სხვების მუშაობასაც წარმართავდა. მთარგმნელობის პროცესში ქართველები მონურად არ მისდევდნენ სათარგმნელ ნიმუშებს... მთარგმნელებს შეაქვთ თავიანთ თარგმანში ქართული სული, ქართული შეგნება, ქართული სახეები და კოლორიტი, ქართული გეოგრაფიულ-ისტორიული სახელები და ტერმინები, თავისებურად, ქართულად ამოქმედენ თუ ავტონომენ მათ. ასე რომ, ეს ნათარგმნი ძეგლები ხშირად ორგზალური შემოქმედების მიჯნამდე მიღის. მაგრამ ეს „თავი-

სუფლება“, ეს „შემატება-მოკლება“ არ მიღიოდა იქამდე, რომ დედანი დამახინჯებულიყო; მთავარი, არსებითი მხარე დედნისა როგორც იდეური, ისე მხატვრული, თარგმანში გადმოდიოდა, ან, ეფრემ მცირეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თარგმანი „მასვე პირსა იტყოდა“, რაც დედანში იყო მოცემული“.

კ. კეკელიძის მიერ მთარგმნელობითი მეთოდის ეს ზოგადი შეფასება-დახასიათება განაპირობა მკვლევრის ხანგრძლივმა და მრავალმხრივმა სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ, როდესაც იგი ეცნობოდა დედნებთან მიმართებით ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს. კ. კეკელიძემ ამგვარი განმაზოგადებელი შრომა დაწერა უამრავი ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად. იგი ჩინებულად ჰავლობდა ბერძნულ-ლათინურ-სლავიანურ ენებს და ამ ენებიდან თარგმნილ ქართულ თხზულებებს თვითონვე უდარებდა ორგინალებს და მსგავსება-სხვაობას საკუთარი მეცნიერული დაკვირვების საფუძველზე აღვენდა. სწორედ ამით აიხსნება ის წარმატებაც, რაც პევდა კ. კეკელიძის ხსენებულ ნარკვევს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც კი თარგმნის პრობლემატიკაზე მუშაობს.

კ. კეკელიძე ფართო პორიზონტისა და მრავალმხრივი ინტერესების მკვლევარი იყო: თითქმის თანაბარი ძალით მუშაობდა ქართული ფილოლოგისა და ისტორიოგრაფიის უბნებზე, ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე და ქართული ფილოსოფიური აზროვნებითაც იყო დაინტერესებული, ის ყოველთვის ეხმაურებოდა სხვა მეცნიერთაგან წამოყენებულ შეხედულებებს და მათი კრიტიკისა თუ გაზიარების შემთხვევაში პრინციპულ მეცნიერულ სიმაღლეზე იდგა.

კ. კეკელიძემ დიდი დრო და ენერგია შეალია რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას. 1924 წლიდან გარდაცვალებამდე აქტიურად მუშაობდა ამ ურთულეს დარგში და მრავალი ნარკვევიც უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობას, დაწერის თარიღს, სიუჟეტის სადაურობას, ტექსტის ისტორიას, რუსთაველის რელიგიურ და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, მის მხატვრულ გამომსახულელობითს საშუალებებსა და პოემის აკადემიური ტექსტის დაღვენის საქმეს. კ. კეკელიძე იყო „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, თანარედაქტორი ამავე ტექსტის 1951 და 1957 წლების გამოცემისა.

იგი მონაწილეობდა 1960—1961 წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ახალი კრიტიკული ტექსტის დადგენაში, მაგრამ ავადმყოფობამ მაღლე მოსწყვიტა ამ საქმეს. ერთი სიტყვით, კ. კეკელიძე ითვლება ერთ-ერთ დიდ რუსთველოლოგად, რომელმაც ნათელი მოპოვინა „ვეფხისტყაოსნის“, „თამარიანისა“ და „აბდულმესიანის“ მრავალ ბუნდოვან წაკითხვას, საერთო ფეოდალური პოეზიის ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებსა და მსოფლმხედველობრივ თუ მხატვრულ მხარეს.

კ. კეკელიძემ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საისტორიო და საერო მხატვრული ძეგლების გამოცემის საქმეშიც, მან კრიტიკულად გამართა და გამოსცა „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ (1941 წ.), რომელიც რუსულადაც გადათარგმნა (1954 წ.), ნოდარ ციციშვილის „შვიდი მთიები“ (1930 წ.); სხვა მეცნიერებთან თანარედაქტორობით გამოაქვეყნა ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ მეორე ტომი (1934 წ.), იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (I, 1936 წ., II, 1948 წ.), „ვისრამიანი“ (1938 წ.), დ. გურამიშვილის „დავითიანი“ (1955 წ.), ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებული (1945 წ.) და სხვა.

კ. კეკელიძემ 1945 წლიდან დაიწყო თავისი შრომების შექრება და ტომეულებად გამოცემა ასეთი სათაურით: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (დღემდე გამოქვეყნებულია 13 ტომი, ხოლო განზრახულია კიდევ XIV ტომის გამოცემაც). ამჯერად მან ხელახლა გადახედა აღრინდელ შრომებს და ზოგიერთ მათგანში შეიტანა მცირეოდენი ცვლილება კორექტურული შეცდომების გასწორებისა თუ ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტების მიზნით.

კ. კეკელიძე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებსა და დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობას შესანიშნავად უფარდებდა ერთმანეთს. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს თბილისის უნივერსიტეტში და ზრდიდა მეცნიერულ კადრებს. თამაშად უნდა იქვას, რომ ლიტერატურათმცოდნეთა ის დიდი არმია, რომელიც ამჟამად მუშაობს ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა უბანზე, შექმნილი და გაწვრთნილია კ. კეკელიძის მიერ, ან მისი შრომებით დანერგილი ტრადიციების საფუძველზე.

კ. კეკელიძე იყო მტკიცე ნებისყოფის კაცი, თავის თავისა და სხვათა მიმართ დიდი მომთხვენი, საქმეში დაუზარელი და ბოლომდე პრინციპული. ამიტომაც მას, როგორც დიდ მეცნიერსა და

თაობათა აღმზრდელს, შეარქვეს „ქართული ფილოლოგის პატ-
რიარქი“, „გვირგვინი მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა“, „ქართვე-
ლი ხალხის ხელხვავიანი მოჭირნახულე“. ეს ეპითეტები მან ღირ-
სეულად დარშისახურა ხანგრძლივი შრომით, ჭეშმარიტი მეცნიერი-
სათვის და მახასიათებელი თვისებებითა და უანგარო პიროვნებით.

ივანე ლოლაშვილი

АКАДЕМИК КОРНЕЛИЙ САМСОНОВИЧ КЕКЕЛИДЗЕ

Для того, чтобы охарактеризовать литературную деятельность и личность известного грузинского ученого Корнелия Кекелидзе, необходимо вспомнить благодарственную речь, произнесенную им в 1959 году на юбилейной сессии, посвященной 80-летию со дня рождения и 55-летию с начала научно-педагогической работы. В этой речи К. Кекелидзе следующим образом сформулировал основные принципы научной деятельности: а) выявление исторической действительности должно быть основано не на сомнительных гипотезах и соображениях, а на твердых и проверенных исторических фактах; б) настоящей истории не требуется приукрашивание, какие бы ни были на это причины (чаще всего это делается под маской ложного понятого «патриотизма»); в) в научной работе критика необходима, но инсинуации и раздраженная ругань не должны выдаваться за таковую; г) необходима научная полемика, но бесполезно вести ее с таким человеком, которым движет не желание выявить истину, а одержимость предвзятой идеей; д) ученый всегда должен быть готов исправить свою ошибку. Человек, который боится и стыдится исправления своих ошибок и поэтому «упорствует как мул», не может считаться ученым.

В этих словах ясно отражена точка зрения К. Кекелидзе, его понимание долга ученого, в них проявляется огромный опыт научно-исследовательской работы, неустанное стремление к объективной истине, к совершенствованию и уточнению собственных гипотез и догадок, непреклонная воля.

Глубокая эрудиция К. Кекелидзе, основательное знание разных отраслей филологии и пламенная любовь к родине

способствовали созданию им богатого научного наследия; в работах К. Кекелидзе освещается пятнадцативековая история грузинской письменности показаны культурно-историческая жизнь грузинского народа, его неисчерпаемые возможности, деятельность великих мыслителей прошлого и славные традиции истории литературного грузинского языка.

* * *

К. Кекелидзе родился 18 апреля 1879 года в деревне Тобаниери Ванского района, в семье бедного крестьянина. Начальное образование получил в г. Кутаиси, в 1893—1900 г.г. учился в Тбилисской духовной семинарии. В 1900 году К. Кекелидзе зачисляется слушателем «на казенный счет» на факультет словесности Киевской духовной академии. Здесь, наряду с теологическими дисциплинами, он овладевает историко-филологическими науками, здесь же он начинает изучать грузинскую литературу.

В 1902 году К. Кекелидзе ознакомился с работой Н. Я. Марра «Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме», которая произвела большое впечатление на юношу. Именно тогда он окончательно решил специализироваться в области древнегрузинской литературы. Его решение было одобрено профессорами Н. Петровым и А. Дмитриевским. Более того, А. Дмитриевский предложил юноше взять дипломную работу по древнегрузинской письменности. К. Кекелидзе принял предложение профессора и принялся за работу. В 1904 году К. Кекелидзе представил Киевской Академии работу, написанную на русском языке: «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах». Рецензенты А. Дмитриевский и А. Глаголев дали ей высокую оценку.

После успешного окончания киевской духовной академии, К. Кекелидзе в 1905 году начинает преподавать в Кутаисском женском епархиальном училище. С начала 1906 года, переехав в Тбилиси, он заведует педагогической частью Тбилисского епархиального училища. В 1907 году он защитил магистерскую диссертацию. В 1908 году, в связи с пере-

ходом А. Дмитриевского в Петербург, К. Кекелидзе предложили занять его кафедру, но он отказался и остался преподавать в Тбилиси.

В 1913 году К. Кекелидзе пригласили читать лекции на Высших женских курсах, а в 1916 году он был назначен ректором Тбилисской духовной семинарии.

С 1918 года начинается новый период в жизни К. Кекелидзе. Ученый становится одним из ближайших помощников И. Джавахишвили в деле основания Тбилисского университета, и с первых же дней существования этого крупнейшего научного центра начинает работать в нем.

К. Кекелидзе заведывал кафедрой древнегрузинской литературы со дня ее основания до своей смерти. В разное время он также был деканом филологического факультета и проректором учебно-научной части; заведывал он также хранилищем древностей Тбилисского университета, кафедрой истории грузинской литературы Кутаисского педагогического института, выполнял разные общественные поручения.

В 1941 году К. Кекелидзе избирается действительным членом Грузинской Академии наук. По инициативе ученого был основан Институт истории грузинской литературы имени Ш. Руставели. К. Кекелидзе являлся директором этого института в 1942—1949 г.г., затем он заведывал отделом древнегрузинской литературы в этом же институте.

25 мая 1954 года был отпразднован юбилей в ознаменование 75-летия со дня рождения и 50-летию со дня начала научной деятельности К. Кекелидзе, а в 1959 году был проведен еще один юбилейный праздник (80 лет со дня рождения и 55 лет с начала научной деятельности).

К. Кекелидзе скончался 7 июня 1962 года в возрасте 83 лет, похоронен в саду Тбилисского университета.

Научно-исследовательскую деятельность К. Кекелидзе начал еще в период учебы в Киевской академии. Его дипломная работа «Грузинские литургические памятники в отечественных книгохранилищах» получила столь высокое признание, что в 1907 году, после некоторой переработки, была представлена автором в качестве магистерской диссертации, которую он успешно защитил.

Первые научные публикации К. Кекелидзе относятся к 1905 году. Одна статья опубликована на грузинском языке в журнале «Мцкемси» (№№ 13—14, «Пастырь»): «Новые песнопения Або Тбилиси». Другая же, написанная на русском языке, носила следующее название: «К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви». Она была опубликована в трудах Киевской духовной академии [№ 1]. После этого К. Кекелидзе систематически писал и публиковал статьи, очерки, исследования (как в грузинской, так и в русской периодической прессе), а также издавал монографии по различным вопросам.

Первой большой публикацией, сразу же принесшей К. Кекелидзе известность в научных кругах, была его магистерская диссертация «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение». С самого начала значение этого труда было правильно определено А. Дмитриевским. Еще в 1914 году, когда К. Кекелидзе защищал диссертацию на звание магистра в Киевской духовной академии, А. Дмитриевский писал об этой работе: «...труд... основательный по научным приемам и весьма любопытный по собранным, неизвестным науке данным,... превзошел далеко наши скромные ожидания...» Рецензент не ошибился. Этот монументальный труд до сих пор считается настольным справочником, содержащим обильный историко-библиографический материал и интересные наблюдения по поводу грузинских литургических памятников.

Второй большой труд, который вновь заставил маститых ученых заговорить о молодом исследователе, появился в 1912 году. Это был знаменитый «Иерусалимский канонарь». Он содержит древнегрузинский текст и исследование. «Канонарь» является одним из важнейших памятников грузинской литургии; кроме того, он также является уникальным источником для изучения монастырской жизни в Древней Палестине. Поэтому публикация этого памятника сразу же привлекла внимание исследователей. А. Дмитриевский снова высоко оценил его. Рецензии на работу написали также И. Карабинов, П. Пеетерс, Н. Марр. Последний, например, отметил, что книга К. Кекелидзе по научной значимости пред-

ставляет собой серьезный продуманный труд, который, касаясь весьма значительной проблемы, вместе с тем содержит и новооткрытый важнейший текст. Ф. Жордания, ознакомившись с этим трудом, послал К. Кекелидзе восторженное письмо, в котором писал: «Я ознакомился с твоим трудом и меня радует и дает силы жить то, что у нашей литературы появился новый великий исследователь».

Необходимо также отметить, что за публикацию «Кононаря» К. Кекелидзе, по представлению Н. Марра, получил премию имени М. Ахматова.

* * *

Третий большой успех сопутствовал К. Кекелидзе и тогда, когда, в 1912 году, в сборнике «Христианский Восток» он напечатал работу «Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста», которая в известном смысле явила дополнением к его раннему очерку — «Симеон Метафраст по грузинским источникам». В обоих очерках рассматривается литературная деятельность основных представителей византийской метафрастики-Симеона Логофета и Иоанна Ксифилина. Было известно, что метафразы первых пяти месяцев принадлежат Симеону, но греческий текст не давал никаких сведений ни о личности продолжателя Симеона, ни о его трудах. После исследования грузинских источников стало ясно, что чтения с сентября по январь были метафразированы Симеоном Логофетом, а чтения с февраля по август — Иоанном Ксифилином. К. Кекелидзе обнаружил в грузинских рукописях два историко-библиографических завещания: «Краткое воспоминание о Симеоне Логофете и сказание о виновниках перевода настоящих чтений» и «О мудром философе Ксифилине—распространителе чтений на семь месяцев», с помощью которых удалось установить, что грузинские источники сохранили имя продолжателя Симеона, и этот автор не кто иной, как Иоанн Ксифилин, византийский философ и писатель, который перефразировал чтения с февраля по август. К. Кекелидзе там же определил, что труд Ксифилина, который не сохранился на греческом языке, на грузинском

существует почти полностью. Это делало возможным заполнить одну значительную лакуну в средневековой Византийской письменности.

Открытие К. Кекелидзе вызвало настоящую сенсацию среди византинистов. В. Латышев охарактеризовал второе грузинское завещание, как «крайне интересный и важный документ». Он отметил также, что К. Кекелидзе имел полное право назвать этот документ «своего рода откровением», т. к. византийская письменность до тех пор ничего не знала об Иоанне Кифилине. Между прочим, В. Латышев пытался приписать Иоанну Кифилину авторство опубликованных им греческих агиографических текстов, но вскоре убедился в неправомочности своей гипотезы; после опубликования К. Кекелидзе русского перевода «Жития епископов херсонских» В. Латышев вынужден был признать, что работы Иоанна Кифилина сохранились только в грузинских переводах, что еще подчеркивало национальное и международное значение грузинской христианской литературы.

После этого К. Кекелидзе приобрел широкую известность среди византинистов всего мира. Его труд привлек внимание ученых. Для него открылось широкое поле деятельности. Видя необходимость ознакомить читающую публику с агиографическими грузинскими текстами, совершенно незвестными европейским ученым К. Кекелидзе, после долгого и напряженного труда, в 1918 году издал первый том «Кимена» в серии «Грузинские агиографические памятники». В этом объемистом volume был напечатан текст свыше двух десятков агиографических сочинений. В предисловии ученый пишет: «Исследование нашей письменности находится в довольно отсталом виде. Особенно это относится к агиографической литературе, в которой не ведется никакой систематической работы. Это обстоятельство, а также богатство агиографической литературы побудило нас в 1915 году обратиться к Петроградской Академии наук с тем, чтобы она взялась за издание этих драгоценных для науки текстов, дошедших до нас. Согласно этому докладу и заключению академика Н. Марра, Академия наук решила создать специальную серию для издания грузинских агиографических памятников и возложила на нас ее редактирование. Эта серия (Мони-

(*hagiographica Georgica*) задумана в трех частях. В первую часть войдет «Кимен», т. е. первые «просто описанные» жития всеобщих святых. Во вторую часть — переделанные в отношении литературном исправленные, приукрашенные жития тех же самых святых, т. е. те, которые носят название «метафразированных»; в третью же часть войдут жития грузинских святых, издание которых представляется нам необходимым, тем более, что единственное издание М. Сабинина «Рай грузинской церкви», уже давно распродано и его невозможно достать; к тому же, оно не удовлетворяет даже самые примитивные научные требования».

Издание открывается исследованием, в котором впервые дана история грузинской переводной агиографии, далее в нем приведены сведения о грузинских переводчиках, охарактеризованы синаксарные и апофтематические сборники (поучения отцов. Лавсаикон, Двоесловие Лимонарий); там же представлен краткий историко-литературный агиологический анализ тех текстов, которые опубликованы в первом томе.

Второй том «Кимена» К. Кекелидзе издал в 1946 году. Всего в двух томах К. Кекелидзе опубликовал 35 переводных агиографических памятников. Среди них можно назвать такие важнейшие сочинения, как «Жития» Симеона Столпника, Максима Исповедника, Саввы Палестинского и др. Но, по его мнению, это была лишь капля в море. Для того, чтобы читатели могли судить о характере и объеме грузинской агиографической литературы, он составил и напечатал еще один очень важный библиографический труд «Грузинская переводная агиография», в которых даны сведения как о кименических, так и метафрастических памятниках V—XI в.в. В нем для каждого произведения указаны автор, заглавие, начало текста, зарубежные издания и те грузинские рукописи, в которых сохранилось данное переводное агиографическое сочинение.

Вышеуказанные труды К. Кекелидзе заложили прочную основу для научного изучения грузинской переводной агиографии.

К. Кекелидзе внес существенный вклад также в дело исследования грузинской оригинальной агиографии. Неко-

